# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

სექტემბერი, 2018

# შინაარსი

მთლიანი შიდა პროდუქტი ..... 3
ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში ..... 4
ეკონომიკის პოტენციური ზრდის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი ..... 4
ფასების დონე ..... 5
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში ..... 5
კერძო სექტორის ეკონომიკური აქტივობა ..... 6
შეღავათები კერძო სექტორის განვითარებისთვის ..... 6
საგარეო ვაჭრობა ..... 8
ტურიზმი ..... 10
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ..... 11
ფულადი გზავნილები ..... 13
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ..... 13
საკრედიტო რეიტინგები ..... 14
უმუშევრობის დონე ..... 15
სიღარიბის მაჩვენებლები ..... 15
ლარიზაცია ..... 16
საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა ..... 17

## მთლიანი შიდა პროდუქტი

**2017 წელს საქართველოში მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა და მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდამ 5.0 პროცენტი შეადგინა.** 2017 წლის I კვარტალში ეკონომიკა - 5.3 პროცენტით, II კვარტალში - 4.9 პროცენტით, III კვარტალში 4.4 პროცენტით, ხოლო IV კვარტალში 5.4 პროცენტით გაიზარდა. წინასწარი შეფასებით, ნომინალურმა მშპ-მ 2017 წელს 38.0 მილიარდი ლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 10 204 ლარი შეადგინა.

**წინასწარი შეფასებით, 2018 წლის ივლისში ეკონომიკა 4.6 პროცენტით გაიზარდა. პირველი კვარტლის რეალურმა ზრდამ 5.3 პროცენტი, მეორე კვარტლის საშუალო ზრდამ 5.5 პროცენტი, ხოლო იანვარ-ივლისის საშუალო ზრდამ 5.3 პროცენტი შეადგინა.** 2018 წლის ივლისში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: ტრანსპორტი, ვაჭრობა, უძრავი ქონება, საფინანსო საქმიანობა და სასტუმროები და რესტორნები.




აღსანიშნავია, რომ რეგიონში განვითარებული ეკონომიკური შოკების და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების მიუხედავად, 2014-2016 წლებში საქართველოს საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 3.5 პროცენტი შეადგინა (ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდა რეგიონის ქვეყნებს შორის), მაშინ როცა მეზობელი ქვეყნები რეცესიას განიცდიდნენ ან რეცესიის პირას იყვნენ.

## ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია

2017 წელს ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესებამ შეიტანა და ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმმართველი საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტი იყო (წვლილი ეკონომიკურ ზრდაში 3.1 პპ). დადებითი იყო ინვესტიციების (0.8 პპ) და მოხმარების წვლილიც (1.1 პპ) ეკონომიკურ ზრდაში.

2018 წლის პირველი კვარტლის ეკონომიკურ ზრდაში კი ყველაზე მაღალი წვლილი ინვესტიციებმა შეიტანა.




## ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

მიმდინარე წლის აგვისტოში, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გაზარდა 2018 წლის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.5 პროცენტამდე[1], რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ექნება ასევე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდა 2018-2023 წლებში რეგიონის ქვეყნებთან შედარებით და საშუალოდ 5.2 პროცენტს შეადგენს.




## ეკონომიკის პოტენციური ზრდის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი[2]

2017 წლის დასაწყისიდან ეკონომიკური ზრდა თანდათან დაუახლოვდა მის პოტენციურ დონეს. **2018 წლის მეორე კვარტალში დაიხურა უარყოფითი გეფი და ეკონომიკური ზრდა მის პოტენციურ დონეს გაუტოლდა. მიმდინარე და დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმები ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის პოტენციური დონის ზრდას.**

---

[1] *გრაფიკზე მოცემული მონაცემები ეყრნობა უახლეს პრეს-რელიზებსა და ანგარიშებს. აღსანიშნავია, რომ მისიის ბოლო ვიზიტის შემდეგ ფონდმა გადახედა პროგნოზს ზრდის მიმართულებით. ახალი მაჩვენებელი უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.*

[2] *მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი წარმოადგენს სხვაობას მთლიანი შიდა პროდუქტის ფაქტობრივ და პოტენციურ დონეს შორის*

## ფასების დონე

**როგორც მოსალოდნელი იყო, ერთჯერადი ფაქტორების ზემოქმედების ამოწურვასთან ერთად, 2018 წლის იანვრიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციის მაჩვენებელი და აგვისტოში 3.1 პროცენტი შეადგინა.** შესაბამისად, ინფლაციის დონე დაუახლოვდა მიზნობრივ, 3 პროცენტიან მაჩვენებელს. საბაზო ინფლაცია[3] აგვისტოს თვეში 1.5 პროცენტს შეადგენს.

ეროვნული ბანკის პროგნოზით, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2018 წლის განმავლობაში საშუალოდ მიზნობრივ დონესთან ახლოს იქნება. 2018 წლის 25 ივლისს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით, 7 პროცენტამდე შემცირების შესახებ. ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედი ფაქტორების საკმარისად შესუსტების შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად მიიჩნია ზომიერად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივად გამოსვლის პროცესის დაწყება.

2018-2019 წლებში, მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის ნორმალიზაცია და განაკვეთის პოტენციურ დონემდე შემცირება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ასევე ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

## კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი კერძო სექტორს უჭირავს.

**2017 წლის ოთხი კვარტლის მონაცემებით ბიზნეს სექტორის ბრუნვა 19.4 პროცენტით, ხოლო გამოშვება 19.6 პროცენტით გაიზარდა.**

2018 წლის იანვარ-ივნისში ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 19.2%-ით გაიზარდა და 37.9 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო ბიზნეს სექტორის გამოშვება 18.7 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 14.2%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ბიზნეს სექტორი, 2018 იანვარი-ივნისი




**2018 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილთა რაოდენობამ**

[3] *ინფლაცია სურსათის და უალკოჰოლო სასმელების, ენერგომატარებლების და ადმინისტრირებადი ტარიფების გამორიცხვით, რაც ინფლაციის გრძელვადიან ტრენდს გვიჩვენებს.*

**656.5 ათასი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.0 პროცენტით აღემატება. ეს წინა წელთან შედარებით 25 ათასით მეტ სამუშაო ადგილს ნიშნავს. ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა სამუშაო ადგილების რაოდენობამ 621.4 ათასი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 3.9 პროცენტით აღემატება.**




## კერძო სექტორის ეკონომიკური აქტივობა

მნიშვნელოვნად იზრდება ეკონომიკური აქტივობა კერძო სექტორში, რაზეც მიანიშნებს ახალ დარეგისტრირებული საწარმოების ზრდა. 2017 წელს ახალ დარეგისტრირებული საწარმოების რაოდენობამ 51 965 შეადგინა და წინა წელთან შედარებით 8.4%-ით გაიზარდა, რაც ნიშნავს 4 034-ით მეტ ახალ საწარმოს წინა წელთან შედარებით.

ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ახალი საწარმოების შექმნასა და არსებულის გაფართოებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 374 საწარმო, განხორციელდა 921 მილიონი ლარის ინვესტიცია და ხელი შეეწყო 14 900-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას. მათ შორის 467 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ახალი საწარმოების შესაქმნელად, ხოლო 340 მილიონი ლარის ინვესტიცია არსებული საწარმოების გაფართოების მიზნით. ამასთან უძრავი ქონების ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციის ჯამური ოდენობა 97 მილიონ ლარს შეადგენს.

მხოლოდ 2017 წელს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში 285 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა კერძო სექტორის მიერ. ინვესტიციების 28% განხორციელდა სასტუმროების სფეროში, 27% საკვების და სასმელების წარმოების, ხოლო 26% სამშენებლო მასალების წარმოების მიმართულებით.

**პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში გაცემული 1 ლარის სუბსიდიით სტიმულირებული სესხის მოცულობა დაახლოებით 7 ლარს, ხოლო სტიმულირებული ინვესტიციის მოცულობა დაახლოებით 10 ლარს შეადგენს.**

## შეღავათები კერძო სექტორის განვითარებისთვის

კერძო სექტორის განვითარებისა და ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობა მრავალ რეფორმას ახორციელებს. აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის გენერირების და დასაქმების ხელშეწყობის პოტენციალი საკრედიტო საგარანტიო მექანიზმების განვითარებას გააჩნია. საკრედიტო საგარანტიო მექანიზმის მიზანია ეკონომიკის დამატებითი დაკრედიტების ხელშეწყობა და ბაზრის ჩავარდნების აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უშლის სიცოცხლისუნარიან ბიზნესს კრედიტის აღებაში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო საგარანტიო ფონდების პოპულარობა, რადგან ამ გზით მნიშვნელოვნად მარტივდება ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის და სტიმულირდება ეკონომიკური ზრდა.

მცირე და საშულო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული შეღავათები და გამარტივებული პროცედურები:

- მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი 2018 წლის 1 ივლისიდან იბეგრება 1 %-იანი განაკვეთით ნაცვლად 5 % -ის.
- გაიზარდა მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა და ნაცვლად 100 000 ლარისა არის 500 000 ლარი.
- გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, გაუქმდა მიმდინარე ე.წ. საავანსო გადასახდელები.
- მცირე ბიზნესს აქვს ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილ შემხვევებში გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატი და სასაქონლო ზედნადები. შენარჩუნდა საქონლის აღრიცხვისთვის სპეციალური ჟურნალის წარმოების ვალდებულება. სხვა არანაირი ბუღალტრული აღრიცხვის ვალდებულება მცირე ბიზნესს არ აქვს.
- მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველს აღარ წარმოადგენს მეწარმე ფიზიკური პირის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი.

მნიშვნელოვან შეღავათს წარმოადგენს ორგანიზაციების[4] დაბეგვრა 2019 წლიდან მოგების გადასახადის ახალი რეჟიმის პრინციპებით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მათ განთავისუფლებას ამ გადასახადისგან, რადგან ისინი მოგებას არ ანაწილებენ. ორგანიზაცია მოგების გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ შეთხვევებში თუ:

---

[4] არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები), დაწესებულებები, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კორპორაციები, დაწესებულებები; საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები - საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

- გასწია ისეთი ხარჯი, რომელიც არც ეკონომიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული და არც მისი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარეობს;
- უსასყიდლოდ განახორციელა საქონლის/მომსახურების მიწოდება და აღნიშნული არ გამომდინარეობს მის საქმიანობის მიზნიდან;
- გასწია ზღვრულ ოდენობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი.

აღსანიშნავია არაპირდაპირი გადასახადებისგან გათავისუფლების ინიციატივები, კერძოდ:

- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში საჰაერო ხომალდებისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევის დღგ-ისგან გათავისუფლდება;
- იმპორტირებული ქარხნულად ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების, რომელიც განკუთვნილია შშმ პირთათვის (რომლებიც სავარძელ-ეტლით გადაადგილდებიან), აქციზისგან გათავისუფლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს მთავრობა განიხილავს სხვადასხვა ინიციატივას, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. ერთ-ერთი ინიციატივის თანახმად, საწარმოს მიერ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის წარმოებული პროდუქციის შესყიდვა არ უნდა ჩაითვალოს არაეკონომიკურ ხარჯად და შესაბამისად, არ დაიბეგროს მოგების გადასახადით, თუ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი მის მიერ წარმოებული პროდუქციის, რეალიზაციისას გამოწერილი იქნება საგადასახადო დოკუმენტი. საქართველოს მთავრობის მიერ ასევე გამოითქვა ახალი ინიციატივა ერთიანი საგადასახადო დოკუმენტის შემოღებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მეწარმეებს 5 სხვადასხვა საგადასახადო დოკუმენტის ნაცვლად ერთიანი საგადასახადო დოკუმენტის გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ.

ამასთან, განიხილება ინიციატივა არამეწარმე ფიზიკური პირების მიერ წარმოებული საქონლის შესყიდვისას ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის შესახებ, მინიმალური (მაგალითად 3 პროცენტიანი) განაკვეთით, (საქონლის შემძენი პირის მიერ). ამჟამად, კანონმდებლობაში არსებული ზოგიერთი შეზღუდვის გამო ბიზნესი თავს არიდებს შეისყიდოს საქონელი არამეწარმე ფიზიკური პირისგან, რადგან, როგორც წესი ასეთი ხარჯს არ ახლავს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი, რის გამოც საწარმოს ეზრდება საგადასახადო ტვირთი. აღნიშნული პრობლემის გამო ხშირად ბიზნესი უარს ამბობს საქართველოში წარმოებული ხარისხიანი პროდუქციის, მაგალითად, სოფლის მეურნეობის გადამუშავებული პროდუქციის შესყიდვაზე.

## საგარეო ვაჭრობა

2017 წელს ექსპორტი 29.5 პროცენტით (617.9 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 2 735.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ექსპორტის კონკურენტუნარიანობა გაიზარდა რაზეც ნათლად მეტყველებს რეალური ზრდის მაჩვენებელი, რომელმაც 2017 წელს 20 პროცენტი შეადგინა,

2017 წელს იმპორტის ზრდამ 8.8 პროცენტი (644.6 მლნ დოლარი) შეადგინა და 7 939.2 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.
2017 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 674.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 13.5 პროცენტით (1 266.7 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა.




2017 წელს ყველაზე მსხვილ საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენდა: სპილენძის მადნები და კონცენტრატები (მთლიანი ექსპორტის 15%), ფეროშენადნობი (11%), მსუბუქი ავტომობილები (9%), ყურძნის ნატურალური ღვინოები (6%), სამკურნალო საშუალებები (5%) და სპირტიანი სასმელები (5%). მსხვილი საექსპორტო პროდუქტებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა: ფეროშენადნობის (ზრდა 81%), სპილენძის მადნების და კონცენტრატების (34%), მსუბუქი ავტომობილების (41%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (51%), სპირტიანი სასმელების (38%), სამკურნალო საშუალებების (31%) და მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი (20%).
ზრდის ტენდენციები 2018 წელსაც სახეზეა. 2018 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტი 27.1 პროცენტით (457 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა და 2 146.4 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. იმპორტი 21.9 პროცენტით (1034.8 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა და 5 954.3 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა.
მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში, უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა: მსუბუქი ავტომობილების (98.1%), სიგარების და სიგარეტების (6-ჯერ მეტად), სპილენძის მადნების და კონცენტრატების (15.0%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (23.1%), ფეროშენადნობის (10.0%) და სპირტიანი სასმელების (26.6%) ექსპორტი.




## ტურიზმი

ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. **2017 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 28.1 პროცენტით გაიზარდა და 2.7 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. 2016 წელთან შედარებით ტურიზმმა 593.6 მილიონი აშშ დოლარით მეტი სავალუტო შემოდინება დააგენერირა ეკონომიკაში.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაიზარდა ვიზიტორის საშუალო დანახარჯი და 2017 წელს 417 აშშ. დოლარი შეადგინა (2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 391 დოლარი იყო), რაც მაღალ მხარჯველი სეგმენტის ზრდაზე მიანიშნებს.

**საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარებული საერთაშორისო ვიზიტორების კვლევაზე დაყრდნობით** 2017 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 6.5 მილიონს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 20.2%-ით გაიზარდა. მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა 4.1 მილიონი შეადგინა და 23.4%-ით გაიზარდა.

ვიზიტორების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება ტურისტული ნაკადების დივერსიფიკაციის დონე. მეზობელი ქვეყნების წილი საერთაშორისო ვიზიტორებში 75.4%-დან 73%-მდე შემცირდა.

დადებითი ტენდენცია 2018 წელსაც გრძელდება. **იანვარ-აგვისტოში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად 22.2%-ით** (405 მლნ. აშშ დოლარით) **გაიზარდა** და 2,232.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა იანვარ-აგვისტოში 14.1 პროცენტით გაიზარდა და 4,884 ათასი შეადგინა, მათ შორის **ტურისტების რაოდენობა 19.3 პროცენტით გაიზარდა.** პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის ზრდის კუთხით გამოირჩეოდნენ: გერმანია (ზრდა 49.9%), გაერთიანებული სამეფო (45.9%), საფრანგეთი (38.9%), იტალია (34.5%), პოლონეთი (32.4%) და სხვა.




საერთაშორისო ვიზიტორების ზრდას და ქვეყნის პოპულარიცაზიას საერთაშორისო ბაზრებზე ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა. **2017 წლის განმავლობაში საქართველომ მონაწილეობა მიიღო 22 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, სადაც აქტიურად ხდებოდა საქართველოს როგორც „დესტინაციის" შეთავაზება.** საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის რეკლამირების მიზნით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მთელი წლის განმავლობაში მიზნობრივ ქვეყნებში ინტერნეტ მარკეტინგულ კამპანიებს ატარებდა, რაც ადმინისტრაციის პარტნიორმა google-ის ოფიციალურმა წარმომადგენლობამ წარმატებულ პროექტად შეაფასა.

**მსოფლიოში აღიარებულმა და გავლენიანმა სამოგზაურო გამოცემამ და პლატფორმამ lonely Planet-მა საქართველო 2018 წლის ათ საუკეთესო მიმართულებას შორის დაასახელა. ბრიტანულმა გამოცემა The Telegraph-მა საქართველო ევროპის ყველაზე საოცარი ქვეყნების, ხოლო გამოცემა Financial Times-მა ძირითადი ტურისტული მიმართულებების სიაში შეიყვანა. National Geographic-მა საქართველო მსოფლიოში ყველაზე ლამაზ 17 ადგილს შორის დაასახელა.**

გარდა ამისა, საქართველოს შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწვეულმა უცხოელმა ჟურნალისტებმა მოამზადეს 942 სტატია და 102 ტელერეპორტაჟი, სიუჟეტი და გადაცემა.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება და მისი დონე მშპ-თან მიმართებით სტაბილურობით ხასიათდება. **2014-2017 წლებში საქართველოში 7 მილიარდამდე აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.**

2017 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს 1 894.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 21 პროცენტით (328.7 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ისტორიული მაქსიმუმია, აქამდე ყველაზე მაღალი შემოდინება 2014 წელს ფიქსირდებოდა და 1 817.7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რასაც 76 მლნ აშშ დოლარით (4.2 პროცენტით) აღემატება 2017 წლის უცხოური

ინვესტიციების შემოდინებები.

**2017 წელს მნიშვნელოვნად - 97 პროცენტით (323 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა რეინვესტირების მოცულობა და 657.5 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. რეინვესტირების მოცულობის ზრდა ნათლად მიანიშნებს ინვესტორთა ნდობის ზრდასა და პოზიტიურ მოლოდინებზე ქვეყნის ბიზნეს გარემოს მიმართ. რეინვესტირების მოცულობის ზრდა ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს გატარებული მოგების გადასახადის რეფორმის ეფექტიანობას, რომელიც კერძო სექტორს აძლევს საშუალებას მათი მიღებული მოგება, გადასახადების ნაცვლად, მიმართონ ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად და ბიზნეს-საქმიანობის გასაფართოებლად.**

2018 წლის იანვარ-ივნისში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 676.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2018 წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 389.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 2017 წლის II კვარტალის მონაცემებს 9.4 პროცენტით აღემატება. 2018 წლის მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად - 7-ჯერ მეტად (94.3 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ენერგეტიკის სექტორში და 108.8 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, საფინანსო სექტორში ინვესტიციები გაიზარდა 4-ჯერ მეტად (62.1 მლნ. აშშ. დოლარით) და 64.1 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ინვესტიციების 21.3 პროცენტიანი ზრდა (3.9 მლნ. აშშ. დოლარით მეტი) დაფიქსირდა და 22.2 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2018 წლის მეორე კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 108.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28.0 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის 77.0 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციით (19.8 პროცენტი), ხოლო მესამეზე საფინანსო სექტორი 64.1 მლნ. აშშ დოლარით (16.5 პროცენტი).

ქვეყნების მიხედვით 2018 წლის მეორე კვარტალში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია აზერბაიჯანიდან განხორციელდა (20.7 პროცენტი - 80.5 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდის ჩეხეთი (20.0 პროცენტი - 77.9 მლნ აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (16.8 პროცენტი - 65.3 მლნ აშშ დოლარი).




## ფულადი გზავნილები

2018 წლის იანვარ-აგვისტოში ფულადი გზავნილების ზრდამ 17.5 პროცენტი, ხოლო ფულადი გზავნილების მოცულობამ 1024 მლნ. დოლარი შეადგინა. ამასთან, იზრდება ფულადი გზავნილების დივერსიფიკაციის დონე. 2018 წლის იანვარ-აგვისტოში წინა წელთან შედარებით 4.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა რუსეთის წილი ფულადი გზავნილების მოცულობაში. ამასთან, 2018 წლის იანვარ-აგვისტოში ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა იტალიიდან, საბერძნეთიდან და ისრაელიდან.




## მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

ეკონომიკური ზრდის პარალელურად მცირდება საგარეო მოწყვლადობის დონე და იზრდება მდგრადობა საგარეო შოკების მიმართ, რისი თქმის საფუძველსაც მიმდინარე ანგარიშის ბალანსის პოზიტიური დინამიკა იძლევა.

2017 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 1,348 მლნ აშშ დოლარი - მშპ-ს 8.9 პროცენტი შეადგინა და წლიურად 4.3 პროცენტული პუნქტით - 543.3 მლნ. აშშ დოლარით გაუმჯობესდა.

აღნიშნული ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მომსახურების ბალანსის დადებითი სალდოს ზრდამ მოახდინა. 2017 წელს მომსახურების ბალანსი 29.3%-ით (458.6 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა და 2 023 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მომსახურების ექსპორტის ყველაზე მაღალი წილი - 68% ტურიზმზე მოდის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2017 წელს მიმდინარე ანგარიშის პირველადმა ბალანსმა (შესწორებული - მიმდინარე ანგარიში საინვესტიციო შემოსავლების ბალანსის გამორიცხვით) მშპ-ს 0.5 პროცენტი შეადგინა, რაც უპრეცედენტოა და აქამდე პირველადი ბალანსის დადებითი მნიშვნელობა წლიურ ჭრილში არ დაფიქსირებულა. ეს კი იმას ნიშნავს, ჩვენ არათუ ვაფინანსებთ მიმდინარე ოპერაციებს დანარჩენ სამყაროსთან, არამედ პროფიციტულ პოზიციაშიც ვართ.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. 2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსმა 1.7 პროცენტული პუნქტით გადააჭარბა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, ხოლო ვალით დაფინანსებული დეფიციტი უარყოფითი იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსმა 2017 წელს მშპ-ს 10.6 პროცენტი შეადგინა.

2018 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 11.6% შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. დეფიციტის მცირედი ზრდა ინვესტიციების მაღალი ზრდით არის გამოწვეული.




## საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor's“, „Fitch“ და „Moody's“.

**2017 წლის სექტემბერში Moody's-მა გააუმჯობესა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba3-დან Ba2-მდე.** სარეიტინგო კომპანიის მიერ **რეიტინგის გაუმჯობესება და რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა განპირობებულია საქართველოს სტაბილური**

**მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებით** 2014 წლის შემდგომ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური შოკების ფონზე, რაც ეკონომიკის მოწყვლადობის შემცირებასა და ინსტიტუციური გარემოს გაძლიერებაზე მიანიშნებს.

**2018 წლის აგვისტოში სარეიტინგო კომპანია „Fitch"-მა დაადასტურა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის პერსპექტივის გააუმჯობესა სტაბილურიდან პოზიტიურის მიმართულებით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნეს გარემოზე.** სარეიტინგო კომპანიის პოზიტიური შეფასება განპირობებულია ხელსაყრელი ბიზნეს და მმართველობითი გარემოს უზრუნველყოფით და მაკროეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებით რეგიონში არსებული შოკების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნებში საკრედიტო რეიტინგების გაუარესების ფონზე, ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს „Standard & Poor's" შეფასებით "BB-" დონეზე.

## უმუშევრობის დონე

**2017 წელს უმუშევრობის დონე 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.9 პროცენტი შეადგინა.** 2017 წელს უმუშევრობის დონემ **ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.** 1998-2016 წლებში სამუშაო ძალის მაჩვენებლების წყაროს წარმოადგენდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამუშაო ძალის გამოკვლევად. ამასთან, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა 2014 წლის აღწერის მონაცემები და ისტორიულ მწკრივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადაიხედა დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები (უმუშევრობის დონე წინა პერიოდის მონაცემებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა შენარჩუნდა შემცირების ტენდენცია).




## სიღარიბის მაჩვენებლები

2017 წელს აბსოლუტური სიღარიბის დონე, რომელიც გულისხმობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრით წილს, წინა წელთან შედარებით მცირედით 0.03 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.9 პროცენტი შეადგინა. გენდერულ ჭრილში

აღნიშნული ინდიკატორი ქალებში 21.6 პროცენტს, ხოლო მამაკაცებში 22.4 პროცენტს გაუტოლდა. სოფლად სიღარიბის დონე 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ბოლო წლებში სიღარიბის დონე შემცირების ტრენდით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობს დასაქმების ზრდა ბიზნეს სექტორში და ასევე რეალური ხელფასების მატება. 2017 წელს სიღარიბის დონე ტრენდულ მაჩვენებელზეა.




აბსოლუტური სიღარიბის მეთოდოლოგიის დანერგვა საქსტატმა 2017 წელს განახორციელა მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აბსოლუტური სიღარიბის გაანგარიშება დაფუძნებულია მსოფლიო ბანკის „საბაზისო მოთხოვნილებების" მიდგომაზე (basic needs approach), რომელიც მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება.

2017 წლიდან შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევაში (2017 წლამდე „შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა"), რომელიც წარმოადგენს სიღარიბის მაჩვენებლების უშუალო წყაროს, რიგი ცვლილებები განხორციელდა და შესაბამისად გადაიხედა წინა წლების აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლები.

საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, საქსტატმა დანერგა კვლევის შერჩევის ახალი დიზაინი და შერჩევის ჩარჩოდ პირველად გამოიყენა 2014 წლის აღწერის მონაცემები.

## ლარიზაცია

2017 წლის დასაწყისიდან დოლარიზაციის შემცირების ტენდენცია სახეზეა. 2018 წლის ივლისის ბოლოსთვის დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 29.4%-დან 39.3%-მდე (დოლარიზაცია შემცირდა 70.6%-დან 60.7%-მდე), ხოლო სესხების ლარიზაცია - 34.8%-დან 45.7%-მდე (სესხების დოლარიზაცია შემცირდა 65.2%-დან 54.3%-მდე). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებაა, ფიზიკური პირების სესხების ლარიზაციის ზრდის მიმართულებით, რომელიც 41.6%-დან 56.5%-მდე გაიზარდა (დოლარიზაცია შემცირდა 58.4%-დან 43.5%-მდე). ამასთან, 2017 წლის მეორე ნახევრიდან ლარის დეპოზიტების მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება, რაც ძირითადად ვადიანი დეპოზიტების ზრდით არის გამოწვეული.

## საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა

2017 წლის 12 აპრილს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში საქართველოს დაუმტკიცა პროგრამა 285 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა სრულად არის დაფუძნებული მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იქნება ჩვენი ქვეყნის პარტნიორი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში. სავალუტო ფონდი სრულად იზიარებს ეკონომიკურ და სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიესალმება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას. 2018 წლის ივნისში წარმატებით დასრულდა პროგრამის მეორე შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პროგრამა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და 2017 წლის მდგომარეობით შესრულებულია პროგრამით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმი (ე.წ. „სტრუქტურული ბენჩმარკი“). კრიტერიუმები, რომლებიც წარმატებით იქნა შესრულებული, მოიცავს:

- ფინანსური სექტორი
    - ფინანსური სტაბილურობა
        - ლარის დეპოზიტებისთვის პრეფერენციული ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შემოღება
        - სისტემური მნიშვნელობის ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის დამატებითი ბუფერების შემოღება
        - პარლამენტში კანონმდებლობის წარდგენა ეროვნული ბანკისთვის საკრედიტო ბიუროზე ზედამხედველობის უფლების მინიჭების შესახებ
        - მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაზრდა 50 მილიონ ლარამდე ეტაპობრივად 2019 წლამდე
    - კაპიტალის ბაზრის განვითარება
        - სახელმწიფო ბენჩმარკ ბონდების მრავალწლიანი კალენდრის გამოქვეყნება
    - მონეტარული პოლიტიკის ოპერაციები და კომუნიკაცია
        - მემორანდუმის გაფორმება ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის ინფორმაციის გაზიარების შესახებ ლიკვიდობის პროგნოზირების მიზნებისთვის
    - დეპოზიტების დაზღვევა
        - პარლამენტისთვის კანონმდებლობის წარდგენა დეპოზიტების დაზღვევის შესახებ 2018 წლის იანვრამდე

- ბანკების რეზოლუციის ჩარჩო
  - ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებების წარდგენა პარლამენტში, რომლის თანახმადაც, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ეროვნულ ბანკს უფლება ექნება ბანკში ფინანსური სირთულეების შემთხვევაში, აამოქმედოს დროებითი ადმინისტრირების რეჟიმი

- ფისკალური სექტორი
  - 2018 წლის ბიუჯეტის წარდგენა სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული ფისკალური დეფიციტის შესაბამისად
  - საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობის მიღება
  - დაგროვებული დღგ-ს ზედმეტობების ანაზღაურების შესახებ სამოქმედო გეგმის შემუშავება
- საჯარო და კერძო თანამშრომლობა და ფისკალური რისკები
  - საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონპროექტის წარდგენა პარლამენტში, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების, მონიტორინგის და სახელმწიფო ვალდებულებების ზედა ზღვარს ის განსაზღვრას.
  - სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებების ანალიზის საჯარო და კერძო თანამშრომლობის და გარანტირებული ელ. ენერგიის შესყიდვის შეთანხმებებზე გავრცელება და კვაზი-ფისკალური აქტივობების ანგარიშგება 2018 წლის ფისკალური რისკების დოკუმენტში.
- საჯარო ფინანსების მართვა
  - გაიდლაინების გამოცემა ბიუჯეტის ახალ სასესხო ოპერაციებზე, კომერციული ამონაგების გონივრული მოლოდინის მოთხოვნით
- საპენსიო რეფორმა
  - საპენსიო კანონმდებლობის პროექტის წარდგენა პარლამენტში, რომელითაც იქმნება მე-2 სვეტის სისტემა და საბაზისო პენსიის ინდექსაციის წესის შემოღება.

სავალუტო ფონდის დასკვნები და შეფასებები ნათლად მიანიშნებს სხვადასხვა მიმართულებით ხელისუფლების მიერ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით წარმატებით განხორციელებულ რეფორმებზე, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯებსა და აღნიშნული რეფორმების პოზიტიურ შედეგებზე.
სავალუტო ფონდის შეფასება სტრუქტურული რეფორმების საჭიროების შესახებ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის პოლიტიკასთან, რომელიც მიზნად ისახავს მაღალ და ინკლუზიურ ზრდას.
საერთო ჯამში სავალუტო ფონდი პოზიტიურად აფასებს პროგრამის მიმდინარეობას და ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების მხრიდან პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით ძლიერ პასუხისმგებლობასა და ძალისხმევაზე.

27 აგვისტოს წარმატებით დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის შემდგომ შეფასებაში სავალუტო ფონდის მისია ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში დაფიქსირებულ მოსალოდნელზე მაღალ ეკონომიკურ ზრდაზე.
სავალუტო ფონდის მისია აღნიშნავს საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეულ პროგრესზე რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს მაღალ და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**

**მისამართი:** 0108 ქ, თბილისი,  სანაპიროს ქ. №2
**ტელეფონი**: +(995 32) 2 99 11 14
**ელ.ფოსტა:** vtsintsadze@moesd.gov.ge;
**ელ.ფოსტა:** kchapidze@moesd.gov.ge.